

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ოქმი №6

2018 წლის 2 მარტი, 12:08 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია- საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებდნენ:

საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის);

ლაგოდეხი-ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი- ა. გოგოლაძე;

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გ. მანგოშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს: გ.დარბაიძე/

გიორგი ენუქიძე არ დაეთანხმა დებულების მე-20 მუხლის მე-4 პუნქტს.

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -28, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge16/07/2014,010250040.35.167.016123).

/დადგენილება №22 თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხს: ზ. ჯაფარიძე/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -28, წინააღმდეგი-0)

გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, დანართი №1-ის შესაბამისად განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უფლებამოსილების განსახორციელებლად გადასცეს ა(ა)იპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების ცენტრს“, უფლებამოსილების ვადით.

/განკარგულება №28 თან ერთვის/

-3-

მოისმინეს:

„მერების შეთანხმება - აღმოსავლეთის“ ხელმოწერაზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს:ნ. ბატიაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -28, წინააღმდეგი-0)

გადაწვევით:

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს „მერების შეთანხმება - აღმოსავლეთის“ პროექტის ფარგლებში ხელი მოაწეროს და შეუერთდეს მერების ახალ შეთანხმებას.

/განკარგულება №29 თან ერთვის/

-4-

მოისმინეს:

ინფორმაცია 2017 წლის ადგილობრივი შესყიდვების შესრულების შესახებ.

/მომხს: ზ. ჯაფარიძე/

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია